მერაბ ჭანუყვაძე გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის თანამდებობაზე დაინიშნა

აღნიშნულ თანამდებობაზე მერაბ ჭანუყვაძე გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს და მუნიციპალიტეტის პირველ პირებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ კახა გულედანმა წარუდგინა. ახალი გუბერნატორი მუშაობას 23 აგვისტოდან შეუდგა.

კახა გულედანის განცხადებით, ახალი გამოწვევებია რეგიონში, რასაც სჭირდება ახალი ენერგია და განახლებული ხედვა. გურიის რეგიონს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია უფრო მეტად განვითარდეს და არსებული შესაძლებობების მეტი რეალიზება მოახდინოს.

მერაბ ჭანუყვაძეს კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მას 2013-2014 წლებში ეკავა გუბერნატორის პირველი მოადგილის თანამდებობა. 2014 წელს კი იგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად აირჩიეს.

2017 წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები (მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები) 21 ოქტომბერს გაიმართება. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით გამოცემული განკარგულება არჩევნების და ნიშვნის შესახებ ძალაში შევიდა.

22 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიამ 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დაამტკიცა, ასევე განსაზღვრა არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცედურა.

როგორც სხდომის შემდეგ ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე ცესკოს სპიკერმა ანა მიქელაძემ განაცხადა, საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის არჩევნების პროფესიულ და ყველასათვის ხელმისაწვდომ გარემოში ჩასატარებლად.

„საერთო ჯამში, ამომრჩევლები აირჩევენ 64 საკრებულოს 2058 წევრს და 64 მერს. საარჩევნო ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო კანონმდებლობით განსაზღვრული საარჩევნო პროცედურების განხორციელება. ასევე დღეიდან მოქმედებს ყველა ის საკანონმდებლო მოთხოვნა, დაშვება და აკრძალვა, რაც არჩევნების დანიშვნას უკავშირდება. კერძოდ, დღეიდან ამოქმედდა წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) წარმოების წესები. ასევე, საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვასთან და კავშირებული ნორმები“,-განაცხადა ანა მიქელაძემ.

მისივე თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისიაარჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მედიას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთონ საარჩევნო პროცესებში და თითოეულ მათგანს უსურვებს წარმატებას საკუთარი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 33 (10227 28 აგვისტო, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

გურიაში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი ამ დროისთვის 405 000 ლარს შეადგენს

ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლებში პრობლემები შეიქმნა. ზარალის ოდენობა 405 000 ლარს შეადგენს,- ამის შესახებ ინფორმაციას გურიის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი ადასტურებს.

ოზურგეთის მუციციპალიტეტში ნატანებსა და დაბა ურეკში დაზიანებულია 19 საცხოვრებელი სახლის სახურავი, რომელსიც აღდგენას საჭიროებს. ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ღრმაღელესა და სუფსაში 14 საცხოვრებელი სახლის სხურავია . ასევე დაზიანებულია შიდა გზები. ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდული არ არის, მაგრამ გზებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩასატარებელია.

„სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები ორი დღის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. გაწმენდილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება. ჯამში, სულ ოზურგეთში (ურეკი, ნატანები) და ლანჩხუთში (ღრმაღელე, სუფსა) დაზიანდა 33 საცხოვრებელი სახლის სახურავი.

ზარალის ოდენობამ ორივე მუნიციპალიტეტში შეადგინა 405 000 ლარი. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მუნიციპალურ და სამაშველო სამსახურს ოპერატიული რეაგირებისა და გაწეული დახმარებისთვის,“- განაცხადა გურიის გუბერნატორმა.

ზარალის საბოლოო მონაცემები დღის ბოლოს გახდება ცნობილი.

კონსტანტინე შარაშენიძე ოზურგეთის მერობაზე იყრის კენჭს

23 აგვისტოს, ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიაში საინიციატივო ჯგუფმა შეიტანა განცხადება კონსტანტინე შარაშენიძის ოზურგეთის მერობის კანდიდატად წარდგენაზე.

ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილმა დაუდასტურა.

ოზურგეთის მერობის კანდიდატის საინიციატივო ჯგუფში შედიან: ირაკლი სირაძე, ოსიკო თოთიბაძე, ალექსანდრე ბერიძე, რომან გოგიტაური, დავით დოლიძე.

კონსტანტინე ბერიძის საარჩევნო შტაბს ირაკლი სირაძე უხელმძღვანელებს.

—კონსტანტინე შარაშენიძის საარჩევნო შტაბი ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქუჩა №8-ში, მის საცხოვრებელ სახლში განთავსდება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, აღნიშნულ სახლში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი იყო განთავსებული.

თავად კონსტანტინე შარაშენიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო 2012-2014 წლებში.

ყოფილი და მოქმედი დეპუტატები დამოუკიდებლად იყრიან კენჭს

ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატად 10 პიროვნებამ შეიტანა განცხადება.

შოთა ართმელაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იყო და ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიას ხელმძღვანელობდა. იგი 21 ოქტომბრის არჩევნებში დაბა ნასაკირალის №60/05 საარჩევნო უბანში დამოუკიდებლად იყრის კენჭს.

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ყოფილი და მოქმედი დეპუტატები დამოუკიდებლად იყრიან კენჭს

ილია მამალაძე და **რესან გაბაიძე** ამჟამინდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი დეპუტატებია. ისინი „ქართულმა ოცნებამ“ 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებში პარტიიდან დეპუტატობის კანდიდატებად არ წარადგინა.

ილია მამალაძე სოფელ ასკანის №60/06 საარჩევნო უბანში, ხოლო **რესან გაბაიძე** დაბა ლაითურში, №60/02 საარჩევნო უბანში დამოუკიდებელ კანდიდატებად იყრიან კენჭს.

სოფელ ასკანის №60/06 საარჩევნო უბანში კიდევ ერთი კანდიდატი, **ირაკლი ჯაველიძე** იყრის კენჭს; №60/04 ურეკის – **ჯაბა მიქაბერიძე**, №60/08 ბახვის – **მამუკა ანდღულაძე**, №60/10 გურიანთის – **მაია ზოიძე**, №60/15 ლიხაურის – **ტარიელ რუსიეშვილი**, №60/16 მაკვანეთის – **მერაბ ვასაძე**, №60/18 მერიის – **ვაჟა ჩანჩიბაძე**, №60/ 21 ნატანების – **ილია ნიკოლაიშვილი**, №60/23 – სილაურის – ხვიჩა კილაძე, №60/39 ნაგომრის – **გიორგი ბოლქვაძე** იყრის კენჭს.

ქალაქ ოზურგეთის №60/01/02 უბანში ქალაქის საკრებულოს წევრი **ლევან მგელაძე** იყრის კენჭს.

განკარგულება №37

21 აგვისტო 2017 წელი

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 64-ე მუხლის მეორე ნაწილის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის! 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით: ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის:; ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში; გ) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე; დ) დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს საარჩევნო სააგიტაციო მასალების განტავსებისატვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. № 14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

#	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბნის მისამართი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება	შენიშვნა
1	#60/01 ზვანი-1	ქ. ოზურგეთი	კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები _ მგზავრთა მოსაცდელი (სემინარიის წინ)	
2	#60/02 ზვანი-2	ქ. ოზურგეთი	_ სპორტის სასახლე - გარე განათების ბოძები _ რაგბის სტადიონთან არსებული შენობა	
3	#60/03	ქ. ოზურგეთი	_ ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები	
4	ყოფილი რ\ც\საავადმყოფო	ქ. ოზურგეთი	_ კულტურისა და დასვენების პარკის ღობე - გარე განათების ბოძები _ ერისთავის ქუჩაზე მდებარე კედელი	
5	#60/04 მოიდანეხე-1	ქ. ოზურგეთი	_ გარე განათების ბოძები	
6	#60/05 მოიდანახე-2	ქ. ოზურგეთი	- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები _ საბავშვო ბაღის (გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე) ღობე	
7	#60/06 ცენტრი-1	ქ. ოზურგეთი	_ სტადიონის ღობე (რუსთაველის და ფარნავაზ მეფის ქუჩები) - გარე განათების ბოძები	
8	#60/07 ცენტრი-2	ქ. ოზურგეთი	_ #2 საბავშვო ბაღის ღობე _ გარე განათების ბოძები	
9	#60/08 სერი	ქ. ოზურგეთი	_ აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები	
10	#60/09 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	_ თაყაიშვილის ქუჩაზე გარე განათების ბოძები	
11	#60/10 ექადია	ქ. ოზურგეთი	_ აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები _ მგზავრთა მოსაცდელი	
12	#60/55 ცენტრი-3	ქ. ოზურგეთი	- მგზავრთა მოსაცდელი - გარე განათების ბოძები	
13	#60/56 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	_ საბავშვო ბაღის ღობე _ გარე განათების ბოძები _ მინი სტადიონი	

საქართველო – პოლიტიკურ ხანძრებს გადაყოლებული ქვეყანა

ბორჯომის ხეობაში ხანძარი არ გაჩენილა, ბორჯომის ხეობაში ხანძარი გაჩინეს, ისევე, როგორც თბილისში – „ბავშვთა სამყაროში“, ელიავას ბაზრობაზე, ისნის ბაზრობაზე, სხვაგან და სხვაგან...

ეს პირადად ჩემი სუბიექტური აზრია და შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობის შემთხვევაში, პასუხისგებაშიც რომ მიმცენ, ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. ასეთი სიზუსტით, ასეთი თანმიმდევრობით თუ მოვრით ხანძრები ბუნებრივად არ ხდება, თუ მასში ადამის მოდგმის მსახვრალი ხელი არ გაერია. ლოგიკას თუ მივყვებით, უბედურება ისაა, რომ ეს მსახვრალი ხელი არ არის გადამთიელი, უფრო შინაურია, ჩვენი სისხლისა და ჯიშისაა.

მხოლოდ ძველ თაობას თუ ეხსომება, ყაზბეგში კულტურის სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდა და შენობის თავზე დაყენებული მაშინდელი საზოგადოებრივი რადიო მღეროდა: მოდით და ნახეთ ყაზბეგი, რა ტურფა სანახავიაო. ახლა უარესი გვჭირს, გადახედეთ მედიას, სოციალურ სივრცეს, როგორ გამოიყენეს არსებული სიტუაცია, როგორ აკაკანდნენ, როგორ აქაქანდნენ, როგორ აყაყანდნენ, ერთმანეთის ჯიბრზე როგორ წაიღეს ტვინი სტენდაფებითა თუ დაუზუსტებელი, არაფრისმთქმელი ერთი და იგივე ინფორმაციებით.

ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა კი საქართველოს ეკოლოგიის კატასტროფაში ჩამყენებელი ეს ხანძრები ჩაუქრობელ პოლიტიკურ ხანძრებად აქციეს. პოზიცია, დაკითხვაზე გამოძახებულივით, ხელებს ასავსავებდა, ცა და ქვეყანა შეეყარეთ, მეტი რა უნდა გვეწყო, ოპოზიცია კი, ყოველთვის რომ მბრალდებლის როლშია, ისე არხეინად საუბრობდა და მშვიდად კომენტირებდა, თითქოს ეს ხანძრები კი არა, ჭიაკოკონობა იყო, რომლითაც ეს უნიათო ხელისუფლება პირს იფორებდა.

სამწუხაროდ, ვერც საზოგადოება დარჩა თავის სიმაღლეზე, ნაცვლად იმისა, რომ ქედზე კაცი გამოსულყო, ატყდა ქილიკი, ორი შვეულმფრენის მეტი არ ჰყოლიათ და რომელი ხანძრის ჩამქრობი ესენი არიანო. მოკლედ, ხანძარშიც პოლიტიკა ჩააკვეხეს.

სტიქიის ადგილზე აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის სახანძრო სამაშველო სამსახურების მისვლამდე, რუსეთმაც გამოხატა მზარდაჭერა დასახმარებლად, მაგრამ, დასავლეთი რომ არ განაწყენებულიყო, ხელისუფლებამ უარი შეაგება, ოპოზიციამ კი კივილი ატეხა, რასაა, რომ ამბობთ, ოკუპანტის ხელით ბორჯომის ხეობის გადარჩენას, გვერჩიოს, საერთოდ ამოვიბუგთოთ. ოხ, ეს მართლა ბინძური პოლიტიკა! ასეთ კატასტროფულ სიტუაციაში ვითომ არ ღირდა თუნდაც რამდენიმე ჰექტარი ტყის გადარჩენა?!

ამიტომ ვამბობ, ეს ხანძრები ბუნებრივად არ გაჩენილა, გაჩინეს-მეთქი. მცდარი არ უნდა იყოს ის აზრიც, რომ ხანძარი დღევანდელ საქართველოში საბოტაჟის ერთ-ერთი უსაშინლესი ფორმაა, რომელიც თავისი საშინელებით არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში ამჟამად გავრცელებულ ტერორიზმს. არ არის გამორიცხული, ასეთი საბოტაჟები საქართველოში კვლავ განმეორდეს.

ამიტომ, ნურც ყურწაგდებულ საზოგადოებას და ნურც თავის მართლების პოზაში მყოფ ხელისუფლებას ნუ ეწნებათ იმის იმედი, რომ ამ ხანძრებზე და მომავალშიც მსგავს ქმედებებზე ვინმე აიღებს პასუხისმგებლობას.

ეს იმდენად მარტივი ხელწერაა, რომ ისეთ „სუსტებსაც“, დღევანდელ ხელისუფლებას რომ ეძახიან, არ უნდა გაუჭირდეს მესაბოტაჟეების დადგენა, ოღონდაც ამისათვის დამოუკიდებელი (ნამდვილი და არა ფსევდო) სახელმწიფოებრივი მიდგომა და პოლიტიკური ნებაა აუცილებელი და არა კოჭის გაგორება, ანუ ისევ კოჰაბიტაცია.

თუ ეს ასე არ მოხდა თუ ერთხელაც ვონს არ მოვედით, მალე დადგება დრო, როცა ნირწამხდარი მემატიანე ასე ჩასწორებს „ქართლის ცხოვრების“ ეპილოგს: „ქართველებმა პოლიტიკურ ხანძრეებს გადააყოლეს საკუთარი ქვეყანა“.

თემურ მარშანიშვილი.

გურული ვაზი

№4 დანართი მომზადებულია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ფინანსური მხარდაჭერით

გურული ვაზი ლანჩხუთში

გურიაში მეღვინეობის რამდენიმე ზონაა: ბუკისციხე-დაბლაციხის, ბახვი-ასკანის, საჭამიასერის. ლანჩხუთის სოფლები ვაზის მასობრივად გავრცელების ზონად არ სახელდება, თუმცა, ეს კულტურა აქაც უყვართ და არის მიკროზონები, სადაც ვაზი კარგად ხარობს.

სამი წლის წინ საქართველოში მეღვინეობის დარგის ერთ-ერთმა წამყვანმა კომპანიამ „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში დაიწყო ღვინის ქარხნის „როიალ ასკანას“ მშენებლობა, რომელიც ამჟამად დასასრულს უახლოვდება.

ხსენებული კომპანია, გარდა ღვინის დარგის განვითარებისა, საქართველოში ეწევა ასევე საშვილიშვილო საქმეს, რასაც მივიწყებული ქართული ვაზის ჯიშების მოძიება-შენარჩუნება და ტრადიციული მევენახეობის აღორძინება ჰქვია. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ აჭარაშიც, კერძოდ, ქედაში ახორციელებს მსგავს პროექტს. აქაც ღვინის საწარმო ააშენეს. აქ მაღალხარისხიან „ჩხავერის“ და „ცოლიკაურის“ ღვინოებს ჩამოასხამენ. დარგის განვითარებისათვის მათ ადგილობრივ მევენახეებთან ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყეს და ჯილაურას სანერგე მეურნეობაში მათ 60 000 ძირის „ჩხავერის“, „ცოლიკაურის“ და „ბუტკოს“ ნერგები შეიძინეს და მევენეხეებს გადასცეს.

2015 წელს, „ჩხავერთან“ ერთად, სხვა გურული ვაზის მივიწყებული ჯიშების აღდგენა დაიწყო. „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ ათასობით ძირი ვაზის ენდემური ჯიშის ნერგი უსასყიდლოდ გადასცა გურიისა და აჭარის მევენახეებს. აღნიშნული საქმიანობის მონიტორინგს ასოციაცია „გურული ვაზი“ ახორციელებს.

„ჩხავერი“, „ჯანი,“ „ალადასტური,“ „საკმიელა,“ „კლარჯული“, „კამური,“ „ათინაური,“„ჭუმუტა,“ „მცივანა,“„გურული საფერავი,“ „ბადაგი,“ კაიკაციშვილი,“ „ორონა,“ „წითლანი“ და კიდევ რამდენიმე დასახელების ათასობით ძირი ნერგი უსასყიდლოდ გადაეცა ოზურგეთელ, ჩოხატაურელ, ლანჩხუთელ მევენეხეებს.

აღნიშნულ კარგ საქმეს მოჰყვა კომპანია „კახური ტრადიციული მეურნეობისა“ და გაზეთ „ალიონის“ საჩუქარი გურული მევენახეებისათვის, გაზეთ „ალიონის“ დამატება „გურული ვაზი,“ რომლის რამდენიმე ნომერი უკვე გამოიცა. გაზეთმა „ალიონმა“, ასოციაცია „გურულ ვაზთან“ ერთად, გურული ვაზის ჯიშების აღდგენით დაინტერესებული რეგიონის ათეულობით მევენახე მონახულა და შესაბამისი ინფორმაციაც მიაწოდა მკითხველს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არ მიეკუთვნება აბორიგენი ვაზის ჯიშების გავრცელების მთავარ ზონას, მაგრამ ადგილობრივებს ვაზის ისე უყვართ, რომ სხვებზე არანაკლებად ზრუნავენ აბორიგენი ჯიშების აღდგენა-გავრცელებისათვის.

გასულ კვირაში ასოციაცია „გურული ვაზის“ დამფუძნებელ ანდრო ვაშალომიძესა და ლუკა კეჭაყმაძესთან ერთად, დასახელებული მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი მოვიარეთ.

ასოციაცია „გურული ვაზის“ წარმომადგენელი და გურული ვაზის აღდგენის ერთ-ერთი ენთუზიასტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტორი კახა კვიტაიშვილია.

კახა ქალაქ ლანჩხუთში, აგარაკის უბანში ცხოვრობს, სადაც ნიგოითის მთაგრეხილი ახლოსაა და გარკვეულ მიკროკლიმატს ქმნის.

მას მიწის დიდი ფართობი არ აქვს და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ათეული ძირი „საკმიელა,“ „ათინაური,“ „წითლანი,“ „ჩხავერი,“ „ორონა“ და „მტევანდიდი“ აქვს გაშენებული.

წლეულს სამი წლის 12 ძირი „საკმიელადან“პირველ მოსავალს ელის. კვიტაიშვილის საკარმიდამოში მცენარეულობას დიდ საფრთხეს უქმნის მავნებელი აზიური ფაროსანა, რომელიც მასობრივად, ლანჩხუთის სხვა სოფლებშიც შევნიშნეთ. თუ შესაბამისი ღონისძიება არ ჩატარდა, მოსავალს ვინლა ჩივის, შესაძლებელია მწვანე საფარი საერთოდ განადგურდეს.

— ეს თეთრყურძნიანი აბორიგენული ჯიში ფართოდ იყო გავრცელებული მაღლარის სახით გურიის აღმოსავლეთ და დასავლეთი რაიონების მთისპირა სოფლებში. თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც ადრეული მწიფობის უნარიანს და ამავე დროს ხარისხიანი პროდუქციის მომცემს. ჩვენი ძალისხმევით ეს ჯიში ფაქტიურად ხელმეორედ იქნა მოძიებული. ყურძნის საგემოვნო თვისებების, ქიმიური შედგენილობისა და თვით მარცვლის კონსისტენციის მიხედვით, „საკმიელა“ მიეკუთვნება ხარისხიანი ღვინის ჯიშთა ჯგუფს. ამასთანავე, როგორც უხმოსავლიანი და სხვა ჯიშებთან შედარებით ადრეული

▶▶▶ გვ-4

ღვინის დაყენება ოჯახში

ოჯახური მარანი მევენახეობის ყველა ქვეყანაში და ცხადია, ჩვენთანაც, მეღვინეობის საფუძველია.

გურიაში მევენეხეობის კულტურის დაკნინებამ, ადგილობრივი ხარისხიანი ენდემური ჯიშების ჩანაცვლებამ უცხოური, დაბალი ხარისხის ჰიბრიდებით, მეღვინეობაზეც იქონია ზეგავლენა. ამას დაემატა ყურძნის რაოდენობრივი სიმცირეც. ამასთან, ოჯახურ პირობებში ხშირად უგულვებელყოფილია ღვინის დაყენება-შენახვა-დავარგების ელემენტარული წესები. ყოველივე ამის შედეგია, რომ, სამწუხაროდ, დღეს ბევრ გურულ ოჯახში დაბალი ხარისხის ღვინოს აყენებენ. ხშირია ფალსიფიკაციის შემთხვევებიც.

მსურს რამდენიმე რჩევა მივცე ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანებს.

ყურძენი უნდა დაიკრიფოს მშრალ ამინდში, დილის ნამის შეშრობის შემდეგ. სასურველია, რთველის დაწყების წინა დღეები მზიანი იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ მარცვალში ზედმეტი წვენის დაგროვება. კრეფის დროს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მტევანს მაშინვე უნდა მოვაშოროთ უმწიფარი, დამპალი, ავადმყოფობისაგან, ჩიტებისაგან, მწერებისაგან და ა.შ. დაზიანებული ნაწილები. კრეფისა და მარნამდე ტრანსპორტირებისას გამოვიყენოთ ხის ან პლასტმასის ჭურჭელი. მეტალის ჭურჭლის გამოყენება არარეკომენდებულია.

დაკრეფის, ჭურჭელში მოთავსების და ტრანსპორტირების დროს ყურძენი გარკვეულწილად მექანიკურად ზიანდება. ამ დროს მოსალოდნელია ძმარმჟავა ბაქტერიების გააქტიურება, ამიტომ ყურძენი იმ დღესვე უნდა დაიჭყლიტოს. ადრე იგი საწნახელში ტრადიციულად ფეხით იჭყლიტებოდა, რაც ერთგვარი რიტუალიც იყო, დღეს კი უმეტესად ხელის მექანიკური საჭყლეტი გამოიყენება.

დაჭყლეტილი ყურძნის მთლიანად ან ნაწილობრივ ჭაჭაზე დადუღების შემთხვევაში საჭიროა კლერტების მოშორება, რადგან, დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, კლერტი ვერ ასწრებს მომწიფებას, რაც საბოლოოდ აუარესებს ღვინის ხარისხს.

ყურძნის დაჭყლეტის შემდეგ საჭიროა გაიზომოს ტკბილის შაქრიანობა. იგი არ უნდა იყოს 18 %-ზე ნაკლები.

ალკოჰოლური დუღილი უმნიშვნელოვანესი პროცესია. დუღილის პროცესის კონტროლი და სწორად წარმართვა გადამწყვეტია ხარისხიანი ღვინის მისაღებად.

ტკბილის ჭაჭასთან ერთად დუღილის შემთხვევაში საჭიროა მისი დარევა დღეში არანაკლებ სამ-ოთხჯერ. დარევებს შორის შუალედი თანაბრად უნდა იყოს განაწილებული დღე-ღამის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არის საშიშროება, რომ მადუღარი ტკბილის ამოტივტივებულ ჭაჭაზე ძმარმჟავას ბაქტერიები გამრავლდეს, რაც უარყოფითად აისახება ღვინის ხარისხზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. დღეს ოჯახებში დაწურული ღვინოების დიდი ნაწილი ბოლომდე დაუდუღარია, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად სწორედ ტემპერატურული რეჟიმის დარღვევითაა გამოწვეული. დუღილის ოპტიმალურ ტემპერატურად ტემპერატურად ოჯახურ პირობებში უნდა მივიჩნიოთ 20-24 გრადუსი. დუღილის კონტროლი ხდება მადუღარი ტკბილის ტემპერატურის გაზომვით (და არა ჰაერის!), ანუ თერმომეტრით უშუალოდ ტკბილის ტემპერატურა უნდა ვაკონტროლოთ. პირველ დღეებში, აქტიური დუღილის დროს, რასაც დიდი ილია ჭავჭავაძე „ამბოხს“ეძახდა, დიდი რაოდენობით გამოიყოფა სითბო და ნახშირორჟანგი. თუ ტკბილის ტემპერატურა „გაგვექცა“, აქტიურდებიან ბაქტერიული (ე.წ მანიტის) მიკრობები, რაც მკვეთრად აუარესებს ღვინის ხარისხს.

37 გრადუსი ტემპერატურა საფუვრების მოქმედებას კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო 40 გრადუსზე საფუვრების ბაქტერიები კარგავენ ქმედითუნარიანობას და დუღილი ჩერდება. ოჯახურ პირობებში დუღილის ტემპერატურის დასაწევად საჭიროა სათავსოს აერაცია, ასევე ხშირი დარევა, რადგან ზედაპირზე მოტივტივე ჭაჭა ერტგვარი თბოიზოლაციის როლს ასრულებს და სითბოს ტკბილში „აკავებს.“

5-7 დღის შემდეგ აქტიური დუღილი მთავრდება და შესაბამისად, სითბოც ნაკლები გამოიყოფა. თუ გარემოს ტემპერატურა დაბალია, უკვე ტკბილის ტემპერატურის ქვედა ზღვარი უნდა ვაკონტროლოთ. ამისთვის საჭიროა სათავსოს დათბუნება. უნდა ვეცადოთ, მადუღარი მასის ტემპერატურა 15 გრადუსს ქვემოთ არ წამოვიდეს, თორემ შეიძლება დუღილი შეჩერდეს. ამ დროს

▶▶▶ გვ-4

სურათზე: ანდრო ვაშალომიძე, ბესო მჟავანაძე, ლევან უჯმაჯურიძე. სოფ ლიხაური

გურული ჯაზი ლანჩხუთში

მწიფობის უნარიანი ყურადღების ღირსია. აგერ ავიღოთ ერთ-ერთი საუკეთესო ჯიში „კამური,“ მასზე უფრო „საკმიელა“ 2-3 კვირით ადრე მწიფდება -ამბობს ანდრო ვაშალომიძე.

ინფორმაციისთვის: 2011 წელს ბათუმში გამართულ ღვინის ფესტივალზე ანდრო ვაშალომიძის „საკმიელამ“ ოქროს მედალი დაიმსახურა.

აგარაკის უბნის მოსაზღვრედ მაჩხვარეთის ფერისცვალების ტაძრის მღვდელს **მამა გიორგის (ცქიტიშვილი)** ვესტუმრეთ სახლში.

მამაოს ზურაბ ჩხაიძის მიერ ჩამოტანილი ნერგებიდან 50 ძირი „ჭუმუტა,“„ორონა“ და „წითლანა“ გაუშენებია დაახლოებით 600 კვადრატულ მიწის ნაკვეთზე და კარგადაც გაუხარია.

–აქ 50 ძირი ნერგი კიდევ დაირგვება და „საკმიელა,“ „ათინაური“ უნდა დავრგო,- გვეუბნება მამა გიორგი. მამაოს კარგად აქვს მოვლილი ვაზი და აკაციის ჭიგოებიც ძლიერია.

– „ჭუმუტას“ კარგი მოვლა ესაჭირეობა იგი ნორმალური ზრდა-განვითარებითა და მოსავლიანობით ხასიათდება. „ჭუმუტას“ ყურძენი შენახვის დიდი უნარით გამოირჩევა. გურიის პირობებში „ჭუმუტა“ ხარისხიანი წითელი ღვინის მომცემ ჯიშად ითვლება – „გვიხსნის“ ანდრო ვაშალომიძე...

ქ. ლანჩხუთში **მამუკა ვადაჭკორიას** ოჯახშიც გაუშენებიათ გურიის აბორიგენი ჯიშის ვაზი: „ჩხავერი,“ „ალადასტური,“ „მტრედისფეხა,“ „მცივანა.“ მამუკა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მუშაობს სოფლის მეურნეობის განყოფილებაში და ამ დარგში დაგროვილ ცოდნას სხვებსაც უზიარებს. მართალია, საკარმიდამო მცირეა და ვაზიც მცირე რაოდენობით აქვს დარგული, მაგრამ ვაჟთან, გიორგი ვადაჭკორიასთან ერთად გეგმავს ახალი ნერგების დარგვას.

სოფელ შუხუთში, მდინარე უკანაღელეს ხეობაში **დარეჯან გრიგალაშვილსაც** ვესტუმრეთ.

– წარმოშობით ხაშურიდან ვარ. მამაჩემი კარგი მეღვინე იყო და იქედან მომყვება ვაზის სიყვარული. გურული აბორიგენი ვაზის 3 ჯიში გავაშენე, რა თქმა უნდა, მცირე რაოდენობის, მაგრამ შვილს ხომ უნდა დავუტოვო რაიმე. „მტევანდიდი“ იმიტომ შევარჩიე, რომ ნაკლები წამლობა სჭირდება. გარდა ამისა, დავრგე „ჩხავერი“ და „საკმიელა“. ჩვენს უბანს მთა გადმოჭყურებს და აქ კარგი მიკროკლიმატია. მინდა დავრგო „კლარჯული“, რომლის ნერგს ქაქუთელი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) სოსო ხინთიბიძე შემპირდა.

ქალბატონი დარეჯანი მარწყვის ბიზნესითაა დაინტერესებული და რამდენიმე ჯიშის მარწყვი აქვს გაშენებული.

სოფელ ქვემო აკეთში **იოსებ ქურიძისა** და **შალვა ჯაყელის** მიერ გაშენებული „ჩხავერის“ ნარგაობა დროის ფაქტორის გამო ვერ ვნახეთ, მაგრამ იმავე დღეს სოფელ არჩეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში გაშენებული „საკმიელას“ ნარგაობა მოვინახულეთ.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი მდინარე წყალწითელას ნაპირზეა . მუზეუმს გარშემო 7 ჰექტარი ტყე აკრავს, სადაც ცაცხვის, ნეკერხალის, ძელქვას, მუხის, წაბლის, წიფლის, რცხილის ასწლოვანი ხეებია.

– ეს ტყე მუზეუმს ეკუთვნოდა და ვიცავდით. რამდენიმე წლის წინ სატყეოს გადაეცა. თუ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს, გვინდა მუზეუმმა დაიბრუნოს, – გვითხრა მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა **ნაირა ჭანტურიამ.**

„საკმიელას“ ნერგები აქ კარგად არ გახარებულა. ანდრო ვაშალომიძემ სათანადო რეკომენდაცია მისცა მათ ვაზის მოსავლელად.

„გურული ვაზის“ გეოგრაფიულ რუკაზე, ბახვი-ასკანას ზონის გარდა, მონიშნული გვაქვს ზვრები ნაგომარში, ფამფალეთ-ვაკიჯვარში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხიდისთავი, ერკეთი, დაბლაციხე, ბუკისციხე, საჭამიასერი (მამულარი). ახლა ამ რუკაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიც გვაქვს. „კახური ტრადიციული მეღვინეობამ“ აჭარა-გურიაში 100 ათასამდე ვაზის ელიტური ნერგი გასცა უფასოდ. სამაგიეროდ გურულ მევენახეებს თხოვს, თავიანთი ზვრებიდან დაკრეფილი ყურძენი მტკიცე საბაზრო ფასებში ასკანის ღვინის ქარხანას ჩააბარონ.

ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, გურიაში ღვინის მეორე ქარხანა დარჩეს ასაგები.

ნუგზარ ასათიანი

ღვინის დაყენება ოჯახში

ღვინო დაიწმინდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ დუღილი დამთავრდა, სინამდვილეში კი მასში დარჩენილია სპირტად გარდაუქმნელი შაქრების გარკვეული რაოდენობა. ასეთი ღვინო ბოლომდე არ იწმინდება, მიდრეკილია ავადმყოფობისაკენ და დაბალი გემური თვისებებით გამოირჩევა.

დუღილის დამთავრებისთანავე ან ცოტა უფრო ადრეც, ღვინის ჭურჭელი ბოლომდე უნდა შევავსოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ჟანგვითი პროცესები.როდესაც იგი დაიწმინდება, უნდა გადავიღოთ.. პირველი გადაღება, როგორც წესი, ნოემბერში ან დეკემბრის პირველ ნახევარში ხდება. ამის შემდეგ ღვინო უნდა მოვათავსოთ რაც შეიძლება დაბალ ტემპერატურაზე, რათა გამოილექოს მასში არსებული ღვინომაჟავასა და სხვა მჟავების გარკვეული რაოდენობა. ამით ღვინო თავისუფლდება ზედმეტი სიმჟავისაგან და უმჯობესდება მისი გემური თვისებები.

გარდა ამისა, ახალადუღებული ღვინო გაჯერებულია დუღილის პროცესში გამოყოფილი ნახშირორჟანგით, რომელიც გადაღებისას შორდება და ხდება მისი დოზირებულად ჩანაცვლება ჟანგბადით, რაც აუმჯობესებს მის თვისებებს.

შემდეგი გადაღება უნდა განხორციელდეს ადრე გაზაფხულზე, აუცილებლად სითბოს დადგომამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭურჭლის ფსკერზე და კედლებზე გამოლექილი მჟავების კრისტალები სითბოს მოქმედებით ისევ გაიხსნებიან ღვინოში და გააუარესებენ მის ხარისხს.

საჭიროების შემთხვევაში (მაღალი მჟავიანობა, სიმღვრიე და სხვა) ოჯახურ პირობებში დასაშვებია გაზაფხულამდე ანუ ძირითადად გადაღებამდე მოვახდინოთ ე.წ. შუალედური გადაღება.

გაზაფხულის გადაღების შემდეგ სასურველია ღვინომასალა შევინახოთ სიგრილეში, სარდაფის პირობებში, 15 გრადუს სითბოში ან ქვემოთ.

დაძველების შემთხვევაში შემდეგი გადაღება ხდება წელიწადში ერთხელ, სექტემბერში.

ოჯახურ მარნებში ხშირად უგულვებელყოფილია გოგირდის დიოქსინის გამოყენება, რაც დაუშვებელია. გოგირდის ზომიერი ხრჩოლება ღვინის ჭურჭელში ჯერ ერთი, საწიროა მისი დეზინფექცირებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია, რომ იგი ხელს უწყობს ღვინის სტაბილიზაციის პროცესს და აუმჯობესებს მის გემურ თვისებებს.

დღეს სპეციალიზებულ მაღაზიებში იყიდება პირდაპირ ღვინოში გასარევი გოგირდის შემცველი ნივთიერებები ფხვნილების, ტაბლეტების (მაგ. კადეფენი) ან თხიერი სახით. ამ მაღაზიებში, დაინტერესებული პირები მიიღებენ კონსულტაციასაც მისი გამოყენების, დოზირების და ა.შ. შესახებ. ტრადიციული ხრჩოლების შემთხვევაში კი უნდა გამოვიყენოთ სუფთა (წყალში უხსნადი და არა კოლოიდური) გამდნარ გოგირდში ამოვლებული ქაღალდის ფრთილები –სამი გრამი 100 ლიტრი ტევადობის ჭურჭელზე. ხრჩოლება უნდა მოხდეს ჭურჭლის გარეცხვისთანავე მისი ზედაპირის გაშრობამდე.

ღვინის შესანახად ოჯახურ პირობებში, როგორ წესი, გამოიყენება თიხის, ხის, მისნის ან მომინაქრებული ჭურჭელი. უნდა მოვერიდოთ პლასტმასს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღვინის დაძველება ხდება მხოლოდ ფორებიან ჭურჭელშ: ხის კასრებში ან თიხაში, სადაც სარდაფის პირობებში, სტაბილურ ტემპერატურაზე მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი პროცესები. ამ დროს ის იძენს განსაკუთრებულ გემურ თვისებებს. ღვინო არ ძველდება მინის, მომინაქრებულ, მეტალის ან მსგავს აბსოლუტურად ჰაერგამტარ ჭურჭელში.



ღვინის ფესტივალზე თბილისში: ანდრო ვაშალომიძე, თეიმურაზ შარაშიძე (ჩოხატაური, ბუკისციხე)

ქართულ სინამდვილეში ღვინის შენახვისა და დაძველების საუკეთესო ტრადიციული ჭურჭელია ქვევრი (ჭური), რომელიც სტაბილური ტემპერატურის გამო ერთგვარ სარდაფის ფუნქციას ასრულებს.

დღეს ქართული ქვევრის მიმართ დიდი ინტერესია ღვინის სამყაროში.იუნესკომ ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი წესი საქართველოს არამატერიალურ კულტურის ძეგლად აღიარა., რამაც კიდევ უფრო გაზარდა მსოფლიოში ინტერესი მის მიმართ. ასე, რომ ქვევრის ღვინოს დიდი მომავალი აქვს.

ანდრო ვაშალომიძე,

ასოციაცია „გურული ვაზის“ გამგეობის თავმჯდომარე

წინადადება სოციალურად ორიენტირებული, ინოვაციებზე დაფუძნებული, გადამამუშავებელი მრეწველობის ორგანიზებით სოფლის განვითარებისათვის

გადატვირთული დედაქალაქი, განუვითარებელი სოფელი, უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილი მოსახლეობა, არასასურველი დემოგრაფიული პერსპექტივა და სხვა, წარმადგენენ პრობლემებს რომელთა გადაჭრასაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის გზა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის შექმნაზე გადის. იმ რესურსებიდან კი, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანონ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში, მიწის რესურსებია. თუ რამდენად ეფექტურადაა გამოყენებული აღნიშნული რესურსი, მეტყველებს ეკ. კვლევის ცენტრის შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: სოფლის მეურნეობის დარგი, რომელშიც მოსახლეობის 50%-ია დასაქმებული, აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8%-ს, ხოლო გადამამუშავებელი მრეწველობის წილი 4%-იაცნობილია შემდეგი სავალალო სტატისტიკაც: 1 ამერიკელი ფერმერი 79 თანამოქალაქეს კვებავს, ევროპელი საშუალოდ 67-ს, რუსი 15-ს, ხოლო ქართველი 0,85-ს, ე.ი. თავისთავსაც ვერ ირჩენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოვახდენთ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების კლასიფიკაციას , თავისი აქტუალობის მიხედვით, სოფლის განვითარების პრობლემა მიჩნეული უნდა იქნეს,როგორც№1,რადგან მისი მოგვარება საფუძველს დაუდებს სხვა მრავალი პრობლემის მოგვარების პროცესს და ქვეყანა დაადგება კრიზისიდან გამისვლის გზას.

როდესაც ვსაუბრობთ სოფლის განვითარების პრობლემის გადაჭრაზე, საჭიროა აიხსნას მისი წარმოშობის მიზეზები, უმთავრესს აქედან წარმოადგენს, საბჭოთა პერიოდში,სოფელში არსებული გლეხური მეურნეობების ბაზაზე (მათი სურვილის მიუხედავად) საბჭოთა კოლმეურნეობების ჩამოყალიბება, რომლებიც განვითარდნენ გეგმური და არასაბაზრო ეკონომიკის პირობებში და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში წარმოადგენდნენ დიდი საბჭოთა კორუფციული სისტემის ნაწილს. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ,მუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არსებობდა ყველანაირი რესურსი, სწორი რეფორმების შემთხვევაში თავიდან აგვაცილებინა არსებული სავალალო მდგომარეობა, თუმცა გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების პირობებში, რომელთაც ძარცვას და ქურდობას „პრივატიზება“ დაარქვა, განიავდა კოლმეურნეობების ბალანსზე არსებული ყველა რესურსი, გაიძარცვა საბჭოური ტექნოლოგიებით აღჭურვილი, თუმცა ფუნქციონირებადი გადამამუშავებელი მრეწველობა, რის შედეგადაც მივიღეთ სოფლები დასახლებული სიღატაკეში მყოფი, მოტივაციის არმქონე, განუვითარებელი ოჯახური მეურნეობებით (ამჟამად იწოდებიან, როგორც ფერმერული მეურნეობები).

დადებითად უნდა ჩაითვალოს, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში დანახული იქნა სოფლის განვითარების პრობლემის აქტუალობა და სხვადასხვა დახმარებისა და პროგრამის მეშვეობით იყო მცდელობა პრობლემის მოგვარებისა, თუმცა, ბუნებრივია ამდენად რთული პრობლემის გადაჭრა ამ მიდგომებით ვერ მოხერხდებოდა და შესაბამისად დღის წესრიგში დადგა სრულიად ახალი მიდგომის აუცილებლობა.

მიგვაჩნია, რომ გამოსავალი პრობლემის გადაჭრისა, სოციალურად ორიენტირებული, ინოვაციებზე დაფუძნებული, მრავალპროფილიან საწარმოებზე ბაზირებული, კვების მრეწველობის ორგანიზებაშია,რომელიც ადგილობრივი რესურსებიდან უზრუნველყოფს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებას. ასეთი მიდგომის შედეგად ქვეყანა გახდება „მწარმოებელი“ და არა „მომხმარებელი“, როგორიც ამჟამადაა.

გავაანალიზოთ აღნიშნული ფორმულირება შემდეგი თანმიმდევრობით: 1.ინოვაციებზე დაფუძნებული; 2.მრავალპროფილიან საწარმოებზე ბაზირებული; 3.სოციალურად ორიენტირებული.

1. ქართული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მისი ექსპორტი ვერ ასცდა ღვინისა და მინერალური წყლების წარმოებას“. ანუ წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ჩვენი მრეწველობა ძალიან ღარიბია, ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას ვიყოთ მოწინავე ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით.

საქართველოში წარმოებული სასოფლო- სამეურნეო პროდუქცია სასაქონლო სახით ჩამოუვარდება უცხოურს, მაგრამ ეკოლოგიური, ბიოქიმიური და ორგანოლეპტიკური თვისებებით უმჯობესია,რაც განპირობებულია ქვეყნის კლიმატური პირობებით. ამასთან, გაგვაჩნია ბუნებრივი სასუქების მნიშვნელოვანი რეზერვი, რაც ბიო- აგროწარმოებაზე და, აქედან გამომდინარე, ბიომრეწველობაზე გადასვლის წინაპირობას ქმნის. როცა საუბარია საექსპორტო პროდუქციის წარმოებასა და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ეფექტურად გამოყენებაზე, ვფიქრობთ, განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე უკვე არსებული პროდუქტების წარმოებით „შორს ვერ წავალთ“, აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია გამოვყენოთ,ჩვენთან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზემოთ აღნიშნული უპირატესობა და მთგან თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენებით ვაწარმოოთ ინოვაციური ე.წ. „ჯანმრთელი პროდუქტები“, რომლებიც დაკმაყოფილებს ევროპელი და ამერიკელი მომხმარებლის ინტერესს: ორგანოლეპტიკური, ეკოლოგიური, სამკურნალო-დიეტური და ორიგინალური, მიმზიდველი სახით.ამ მიზნით ჩვენ მიერ დამუშავდა რამდენიმე ინოვაციური პროდუქტი, რომლებიც იწარმოებიან ადგილობრივი ნედლეულიდან და მოიცავს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს (მეხილეობა, მჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, აგრეთვე დაფნის წარმოება. იხ. ახალი პროდუქტების თანდართული ფოტოები მოკლე ანოტაციებით).

აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიულ პირობებში მიღებული ნიმუშებითაც კი მივაღწიეთ დაინტერესებას აშშ-დან, გერმანიიდან, ლიტვიდან. რამდენიმე მათგანი დაპატენტებულია გამოგონებაზე.

2. ჩვენი ფერმერული მეურნეობები, განსხვავებით უცხოელებისაგან, აწარმოებენ მრავალი სახის პროდუქციას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ნაწილი მალფუჭადია,რაც ამცირებს მის სარეალიზაციო პერიოდს და, აქედან გამომდინარე, ფერმერი იძულებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს ოპერატიულად და შესაბამისად დაბალ ფასებში. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, მხოლოდ ე.წ. მრავალპროფილიანი საწარმოების ორგანიზებით,რომლებიც საშუალებას მისცემს ფერმერებს ოპერატიულად გაუკეთონ რეალიზაცია ყველა სახის პროდუქციას, რომელსაც აწარმოებენ ისინი სეზონის განმავლობაში. აღნიშნული მნიშვნელოვანი იქნება იმითაც, რომ ჩვენთან ცვალებადი კლიმატის პირობებში მიზანშეწონილი არაა ჩვენი ფერმერები აწარმოებდნენ მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება სიმძლავრეების მოცდენის თავიდან აცილება და მუშახელის დასაქმება პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში.

3. ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს,რაც შეიძლება მოკლე ვადაში გადაიჭრას სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური პრობლემები, რაც ჩვენი აზრით შესაძლებელია სოციალურად ორიენტირებული გადამამუშავებელი მრეწველობის ორგანიზებით, ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთი აგროსამრეწველო სისტემის ჩამოყალიბებებით, რომელიც მოტივაციას გაუჩენს ფერმერს გაფართოოს მეურნეობა მისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარეობგვაჩნია, რომ აღნიშნული შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში თუ ფერმერის ინტერესი გათვალისწინებული იქნება წილის სახით იმ მოგებაში, რომელიც მიიღება ზემოთ აღნიშნულ მრავალპროფილიან საწარმოში გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად. ამ შემთხვევაში შეიქმნება ე. წ. მეწარმე ფერმერების კატეგორია, რომლებიც მოტივირებულნი იქნებიან გააფართოვონ თავიანთი მეურნეობა და შესაბამისად მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

შემოთავაზებული ახალი მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის ორ ვერსიას განვიხილავთ:

პირველი - სოფლად ფუნქციონირებად ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ გაერთიანდნენ გამსხვილებულ კოოპერატივებში (სიდიდისა და რესურსების მიხედვით კოოპერატივში შეიძლება გაერთიანდეს 1,2,3 ან რამდენიმე სოფელი) და ნაცვლად ფინანსური დახმარებისა, ვთავაზობთ ზემოთ აღნიშნული მრავალპროფილიანი საწარმოს ორგანიზებას, რომელიც იქნება მათი საკუთრება, ანუ ვთავაზობთ ე. წ. აგროფირმის ორგანიზებას,რომელიც უზრუნველყოფს როგორც ნედლეულის წარმოებას, ასევე მის გადამუშავება-რეალიზაციას. პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება ნაწილდება ფერმერებზე ჩაბარებული ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მოგების წილი განსაზღვრულია ხელშეკრულებაში,რომელსაც აფორმებს ფერმერი კოოპერატივთან.

აგროფირმას მართავს ფერმერების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული მენეჯერი თავის აპარატთან ერთად,რომლის მუშაობის მონიტორინგს ახორციელებს ფერმერების მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭო.

მეორე - მეორე ვერსიის მიხედვით ვთავაზობთ ე. წ. მუნიციპალური მრავალპროფილიანი საწარმოების ორგანიზებას, რომელიც ფერმერებთან აფორმებს ხელშეკრულებას მათ მიერ წარმოებული სასოფლო- სამეურნეო ნედლეულის მიწოდებაზე. ფერმერების მოტივირება ამ შემთხვევაში ხდება მოგებიდან გარკვეული წილობრივი უზრუნველყოფით ან პრემიალური წახალისებით. დარგის კრიზისიდან გამოყვანის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს უკვე მომგებიანი საწარმოს პრივატიზება.

შემოთავაზებული ეკონომიკური მიდგომების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად ქვეყნის რეგიონები „დაიფარება“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალპროფილიანი საწარმოებით, რომლებიც ფერმერების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან აწარმოებს ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე გასატან, სხვადასხვა ახალი სახის,მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტებს,რომელთა რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება გადანაწილდება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე.

ადვილი წარმოსადგენია სოციალ-ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიიღწევა წარმოდგენილი წინადადების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად:

1) სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილობრივი უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ მოგებაში,არა მარტო გამოიყვანს მათ ეკონომიკური კრიზისიდან, არამედ გახდის მოტივირებულს,რათა გააფართოონ მეურნეობა კიდევ უფრო დიდი მოგების მიზნით. ანუ ამჟამად დოტაციაზე მყოფი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა გახდება ქვეყნის ბუჯეტში დამატებითი შემოსავლების შემომტანი;

2) მრავალი სამუშაო ადგილების შექმნა, რასაც უზრუნველყოფს მრავალპროფილიანი საწარმოების ორგანიზება, განაპირობებს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მასიურ დასაქმებას (მათ შორის ინჟინრების, ეკონომისტების აგრონომების და სხვა), შედეგად დაიწყება უკუმიგრაციის პროცესი, ანუ გადაიჭრება აგრეთვე ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა, რასაც ქვეყნის „დეთავკომბალიზაცია” ჰქვია. განიტვირთება დედაქალაქი.

3) ყოველივე ზემოთაღნიშნულის შედეგად განვითარდება ინფრასტრუქტურა, შეიქმნება გასართობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას;

4) გაიზრდება ექსპორტი, შემცირდება იმპორტი, რაც დადებით გავლენას მოახდენს ეროვნული ვალუტის გამყარებაზე;

5) ეკონომიურად მდგრადი აგროსამრეწველო სისტემის ჩამოყალიბება შექმნის წინაპირობას ქვეყანაში არსებული ორგანული სასუქების რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით წარმოდგენილი ინოვაციური პროდუქტები ვაწარმოოთ როგორც ორგანული (ბიო), ამით მივაღწევთ იმას, რომ სიტყვა „ქართული” გახდება ბრენდი, ასოცირებული „ჯანმრთელ” კვებასთან. აღნიშნულის შედეგად წარმოებული პროდუქცია გახდება კიდევ უფრო პოპულარული და ძვირადღირებული უცხოურ ბაზარზე;

6) ქვეყანაში „ჯანმრთელი” კვების პროდუქტების წარმოება დადებით გავლენას მოახდენს ტურიზმის განვითარებაზე ;

7)სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალ-ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუმჯობესება გამოიწვევს კრიმინალის შემცირებას, მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე დამატებით სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებით შეეძლებთ მოვახდინოთ დემოგრაფიული პრობლემის პრევენცია .

შემოთავაზებული მიდგომის ეფექტურობის განსაღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწყის ეტაპზე საპილოტე პროექტის განხორციელება და მაღალი ეფექტის მიღების შემდეგ მისი ფართო მაშტაბით დანერგვა.

ვიორგი მუხაშავრია,
ინჟინერ გამომგონებელი
ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების №12
ტ. 593 388 105. ელ. ფოსტა
Gshavria54@gmail.com



„ოქროს რკო“

სურათზე *წარმოდგენილია ახალი სახის „დაწნული“ მწვანე ჩაი „ოქროს რკო“. იგი მზადდება ორსამ ფოთლიან? დუყებისაგან, ყვავილის სახით ემატება ლიმონის კანი და მინდვრის ყვავილი.*

ექსტრაციისას პროდუქტი იქცევა ყვავილოვან ბუკეტად და სასიამოვნო არომატთან ერთად ფინჯანში ქმნის ლამაზ სურათს.

„ოქროს გვირგვინი“

სურათზე წარმოდგენილია ახალი კატეგორიის ელიტ?რი მწვანე ჩაი „ოქროს გვირგვინი“. იგი მზადდება მაღალი ხარისხის ნედლეულისაგან, რომელიც იფუთება ერთჯერადი პაკეტის სახით, პაკეტი თავსდება ლიმონის კანში, რომელიც გამჭირვალე ჭიქაში ექსტრაციისას იქცევა ლამაზ ყვავილად და სასიამოვნო არომატთან ერთად ქმნის ლამაზ სურათს.

„ფუნჯი“ ჩაი

სურათზე *წარმოდგენილია ახალი სახის ელიტ?რი ჩაი. ე.წ „ფუნჯი“ ჩაი. იგი მზადდება ორ-სამ ფოთლიანი დუყებისაგან და წარმოადგენს კონას, რომელიც შეკრულია ლიმონის, ფორთოხლის, ფეიჰოას ან სხვა რომელიმე არომატული ხილის კანისაგან დამზადებული რგოლით.*

ექსტრაქციისას კონა იშლება დუყებათ და იღებს ფუნჯის სახეს.მას გააჩნია შესანიშნავი არომატი და ორიგინალური სახე. ამ კატეგორიის შესაძლებელია ვაწარმოოთ, როგორც მწვანე ასევე შავი ჩაიც.

მაკვანეთის ეკომუზეუმში „ჩხავერის“ დაგემოვნება შეგიძლიათ..

ქ. ოზურგეთიდან 3 კილომეტრში მდებარეობს ულამაზესი სოფელი მაკვანეთი, სადაც შევიძლია მოვინახულოთ ხარების სახელობის ეკლესია, გოგიეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ჯანვერდი ცეცხლაძის საფუტკრე მეურეობა და ეთნოგრაფიული ეზო, საკალმახე მეურნეობა (გოგიეთი); ამ სოფელში შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ ამზადებს საკალანდო ჩიჩილაკს გიზო თოიძე; გავეცნოთ ფოლკლორს და ამისთვის ვესტუმროთ ტრისტან და გური სიხარულიძეების მომღერალ ოჯახს, ამირან გოლიაძის მომღერალ ოჯახს.

ამჯერად ჯანვერდი ცეცხლაძის ეკომუზეუმს გაგაცნობთ:

მარშრუტი სოფელ მაკვანეთის ცენტრში იწყება და მიუყვება ასფალტირებულ გზას. საწყისი წერტილიდან მალევე გადავკვეთთ ხიდს, რომელიც მდინარე აგიდაყვაზე მდებარეობს და გადავდივართ სოფლის გრუნტის გზაზე. გზა სამანქანოა და მივიყვებით მცირე აღმართს. გადასახვევთან ახლოს დგას მაკვანეთის ხარების სახელობის ეკლესია. 200 მეტრის გავლის შემდეგ გზიდან მარცხნივ გვხდება ,,ინგოროყვას ოდა სახლი‘‘, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ. სახლი ლამაზი ფასადით გამოირჩევა და ლამაზი ეზოც აქვს. აღმართის გავლის შემდეგ გავივაკებთ და გვხდება გზაგასაყარი: ერთი გზა მიემართება მთავარი სანახავი ობიექტისკენ —გოგიეთის ეკო-მუზეუმისკენ, ხოლო მეორე გზა მარჯვნივ უხვევს და მიუყვება აღმართს, რომელსაც მივყავართ ე. წ. ნაკაშიძეების გორაკზე მაკვანეთის წმიდა გიორგის ეკლესიისაკენ. აღნიშნული ეკლესიის ეზოსთან ახლოს შემდება არტემ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის მუზეუმი, სადაც მომავალში მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართება. წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოდან იშლება ლამაზი ხედი. აღსანიშნავია, რომ კარგ ამინდში აქედან შესაძლებელია შავი ზღვის დანახვაც.

ეკლესიის მონახულების შემდეგ ვაგრძელებთ გზას გოგიეთში, ეკო-მუზეუმისკენ. კიდევ ერთხელ გადავკვეთთ მდ. აგიდაყვას პატარა ხიდით და შევუყვებით გრუნტის მცირე აღმართზე. დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ აღმართი უფრო ციცაბო ხდება, თუმცა ამ გზაზეც შესაძლებელია გადადგილება მსუბუქი ავტომობილით. მალევე მივადგებით ჯანვერდი ცეცხლაძის სახლს, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს გოგიეთის ეკომუზეუმი.

ჯანვერდი ცეცხლაძის საფუტკრე მეურნეობა და ეთნოგრაფიული ეზო ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ასეულობით ტურისტს აქვს მონახულებული. მათ სორის არაერთი უცხოელი ტურისტი სტუმრებია ამ საოცარ ეზო-კარმიდამოს. 5 ივნიის -დედამიწის დღეს აქ ტრადიციულად მუნიციპალიტის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები სტუმრობდნენ.

ტურისტებს აქ შეუძლიათ დააგემოვნონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, მათ შორის აკაციის, ცაცხვის, წაბლის თაფლი, რომელიც მაღალი გემური თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ ტურისტების ყველაზე საყვარელი ადგილი ბუნებრივ გამოქვაბულში ჯანვერდისეული ,,ჩხავერის‘‘ ღვინის დაგემოვნებაა, რომლის დაყენების მისეულ ტექნოლოგიას ფლობს ჯანვერდი ცეცხლაძე.

გოგიეთის უბანში საოჯახო სასტუმროც არის. აქაც, სასტუმროს მეპატრონე ჯაბა ჭეიშვილი სტუმრებს მათ ოჯახურ მეურნეობაში დამზადებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს სთავაზობს.

სკანვორდი

						ალას დასტურით გაშენებული ვაზი		ვაზის ტკბილი ნაჟური	მტევნების ასხმა	სხილათუბნ ელთა ვაზი		დიდმტევანა ვაზის ჯიში				
															ჯიხვის რქიდან ამზადებენ	
									ღონიერი გურული ვაზი					საკმეველ შესაფქვევი ვაზი		
						ღვინის ექსპერტი		ცოლსაც რომ სიამოვნებს	თათარა			ცხემლისხიდში გავრცელებუ-ლი ვაზი				
														საღვინე		
							ღვინის ობი									
		საღვინე ჭურჭელი			ჭურის სახურავი								სტალინის რჩეული ღვინო			
												ორ ონად ღირებული ვაზი	ყელიანი ღვინის ჭურჭელი	გალაქტიონის ნაქები ვაზი		
				ოპლა შემოკლებით										სასმისი		
						გურიაში ასეთი სმა იციან	ძლიერ მსმელს ეძახიან									
ალუს მეორე ასო				ჭურის სარეცხი										მთვრალს რომ ებორკება		
		ყურძნის ჩირი	საჭუმატო ვაზი	ქვევრიდან ღვინის ამოსაღები						…. ჭამა დიდად შესარგი		პატარა საწ-ნახელი				

№ 32-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ანა ანდღულაძე; ფოტომონადირე — პაპარაცი; მედიკამენტი — ინსულინი; ბილიარდის ჯოხი — კია; საამთიაქო ქსელი — ავერსი; მოტოციკლის სახეობა — იავა; ქალის სახელი — ირა; დინამოს ყოფილი ფეხბურთელი — ძიაპშიპა; თურქულ სერიალებში გავრცელებული ქალის სახელი — აიშე; სუფთა მოგება ძიუდოში — იპონი; რუსული მულტფილმის გმირი — მაშა; კანადის დედაქალაქი — ოტავა; უძველესი სახელმწიფო კავკასიაში — ურარტუ; ფლავი — შილა; საღვინე — მარანი; კავშირი — და; მაგნიტი — ანდამატი; ორი ექვსიანი ნარდში — დუშაში; სამაგიდო სპორტული თამაში — შაში; სოფლის გზა — შარა; ლუდი რუსულად — პივა; ქვეყანა ჩრდილოეთ ევროპაში — ნორვეგია; გაიძვერა — ფლიდი; ვერდის ოპერა — აიდა; დუმბაძის ცალთვალა გმირი — ილიკო; სასაზღვრე პუნქტი დარიალში — ლარსი; დიდი გორა — მთა; დიდი ჭალი — რამპა; საწამლავი ნივთიერება — ციანიდი; ისრის სასროლი იარაღი არბალეტი; მოგება ნარდში — მარსი; ღრეობა — ორგია; კლიმატი — ჰავა; ძვირფასი კრისტალი — ალმასი; ბოლნისის საფეხბურთო გუნდი — სიონი; ქალაქი რაჭაში — ონი; კუბის დედაქალაქი — ჰავანა. რუსული ავტომობილი — ლადა; … ხვიტია — მაცი; ჩინური ფირმა — სილქნეტი; მგალობელი ფრინველი — იადონი.

„მილიონობით ლარია გადახდილი და სოფელს წყალი არ აქვს...“



ალიონი. ეს ციტატა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის **ბესო ქათამიძის** რეპლიკიდან ავიღეთ, რომელიც სოფელ ჯუმათის წყალმომარაგების საკითხს შეეხებოდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ -საკითხის განხილვისას, ბიუჯეტის კლასიფიკაზიაში 50 000 ლარით გაიზარდა ორგანიზებული კოდი – 03 02 06 – 2.5, რაც წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაციას და რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ** შეკითხვა დაუსვა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს გია მამაკაიშვილს, თუ რას ითვალისწინებდა ეს ხარჯი.

მამაკაიშვილმა განუმარტა, რომ ეს თანხა ჯუმათისა და ბახვის წყალსადენზე ძირითადად გუშაგებისა და აგენტების ხელფასის ანაზღაურებას მოხმარდება.

ქათამაძემ ჯუმათის წყალსადენის უხარისხო მშენებლობას შეეხო და განაცხადა, რომ მილონობით ლარი გადაიხადეს აღნიშნული წყალსადენის მშენებლობაზე და ამ სოფელს წყალი არ აქვს, რადგან მილები უხარისხოა.

გოჩა კილაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე: – თქვენს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველაფერი ხომ ხარისხიანად კეთდებოდა?

ბესო ქათამაძე: –თუ არ კეთდებოდა, ახლა თქვენ გააკეთეთ..

ლალი სიჭინავა, სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარი: –პატარ-პატარა პრობლემები მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების საქმეში, სოფელ ბაღდადშიც არის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილე **არჩილ ყაზაიშვილმა** განმარტა, რომ აგვისტოს გვალვების პერიოდში, მართლაც შეექმნათ მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემა, მაგრამ გადაჭრეს. დამატებით ახალი სათავე იპოვეს და 75-მილიმეტრიანი მილით დაამატეს დებეტს.

მანვე განმარტა, რომ ყველა პროექტი არის ხარვეზიანი და იგი პრაქტიკული მუშაობის დროს სწორდება. მათ აღმოფხვრეს ხარვეზი.

ჯამში ბიუჯეტი შემოსავლებისა და გადასახადების ნაწილში 104 947 ლარით გაიზარდა, საიდანაც გარდა გარდა წყალსადენისა, 60 000 ლარით გაიზარდა ელექტროენერგიის ხარჯი; სხვადასხვა სამედიცინო დახმარებისათვის 20 ათასი ლარით; სხვა სოციალური დახმარება – 2000 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენის სათაო ნაგებობა უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარვის წესით შპს „სატისს“ გადაეცა.

მუნიციპალიტეტის საკრებულომა ა (ა) იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს გადასცა ამწე-კალათი და 235 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი საერთო ღირებულებით 278 940 ლარი.

საკრებულომ ასევე სახელმწიფოს გადასცა 1526 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შსს სამშველო სამსახურის განსათავსებლად და დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების რეგულირების შესახებ.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავება მიმდინარეობს

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მეორე ეტაპი აქტიურად მიმდინარეობს. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პირველ ეტაპზე 53 000 ჰა თხილის ფართობია დამუშავებული.

ამჟამად მიმდინარე სამუშაოების შედეგად, დასავლეთ საქართველოში წამლობა უკვე 8305 ჰექტარზეა ჩატარებული. სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკა სრულად არის მობილიზებული. მავნებლის გავრცელების კერებში ინტენსიურად მუშაობს 7 ერთეული ამერიკული თერმული ნისლის გენერატორი, 6 ერთეული იტალიური სამანქანე შემასხურებელი და 2 იტალიური სატრაქტორო აგრეგატი.

დღეისათვის თერმული ნისლის ტექნოლოგიით უკვე დამუშავდა 6240 ჰა საკარმიდამო ნაკვეთები სამტრედიაში, აბაშაში, ხობში, მარტვილში, სენაკში, ზუგდიდსა და ლანჩხუთში. აბაშის მუნიციპალიტეტში სატრაქტორო აგრეგატებით დამუშავებულია 800 ჰექტარი ფართობი, სამანქანე აგრეგატებით - 1265 ჰა.

დღეიდან ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩაერთვება მაღალი წარმადობის დისპერსიული აეროზოლური შემასხურებელი, რომელსაც დღეში ასეულობით ჰექტრის სიმინდის მასივის დამუშავება შეუძლია.

ბრძოლის ღონისძიებების მეორე ეტაპზე სულ 30 ათასი ჰექტრის დამუშავებაა დაგეგმილი.

ღონისძიებები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) მხარდაჭერით მიმდინარეობს. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გატარებული ღონისძიებების შედეგად მავნებლის გავრცელების გეოგრაფია არ გაზრდილა და ლოკალიზებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

სული მარტო დამიანებს არა აქვთ,სული შენობებსაც, ძეხებსაც, ბაღებსაც აქვს, მაგრამ ეს სული მათი არ არის, არამედ იმ ადამიანებისაა, ვისაც იქ უცხოვრიათ, იქ უმუშავიათ, ყოველი კაცი, თავის სიცოცხლის თავისი სულის ნაწილს ტოვებს იქ,სადაც ცხოვრობდა,სადაც საქმიანობდა.

1826 წლის 21 ნოემბერს მამია V გურიელი გარდაიცვალამთავარმრთველ ერმოლოვის ბრძანებით 1827 წლის 3 ივნისს დაარსდა გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო, რომელსაც უნდა ემართა სამთავრო, სანამ ტახტის მემკვიდრე დავითი სრულწლოვანი გახდებოდა. საბჭოში შედიოდა ექვსი წევრი: ვახტანგ ერისთავი ,დავით მაჭუტაძე, სვიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი, გიორგი თავდგირიძე, საბჭოს თავმჯდომარე დედოფალი სოფიო. სოფიო იბრძოდა ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის, თანაც საბჭოს ზოგიერთი წევრი სოფიოს წინააღმდეგ მოქმედებდა ,ამიტომ სოფიომ პროტესტი განაცხადა.

გურიის სამართველო საბჭოს შექმნამ გურიის საშინაო ვითარება გაართულა და შექმნა ორი პოლიტიკური დაჯგუფება. პირველი ითხოვდა მთავრის ხელისუფლების აღდგენას დედოფლისა და მაჭუტაძის მეთაურობით. მეორე დაჯგუფება - რუსეთის მომხრეებისა ნაკაშიძეების მეთაურობით. ახლა საქმეში თურქეთი ჩაერთო, რომელიც ცდილობდა რუსეთი გურიიდან გაეძევებინა. 1828 წელს დაიწყო რუსეთ თურქეთის ომი.სოფიოს თურქეთის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ ომში გამარჯვებული რუსეთი დარჩა. რუსეთის სარდლობა ურჩევდა სოფიოს შეეწყვიტა ურთიერთობა თურქეთთან. სოფიოს არც გურიის მოსახლეობა უჭერდა მხარს, სოფიო ოჯახის წევრებთან და ერთგულებთან ერთად ჯერ ქობულეთში თურქეთის სარდალ ოსმან-ბეგთან მივიდა, შემდეგ თურქეთში გადავიდა. სოფიოსთან ერთად წავიდნენ:დავით მაჭუტაძე, გიორგი თავდგირიძე, ლაზარე ნაკაშიძე,რვა აზნაური და 56 მსახური, ქონება თან წაიღეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა ,ემიგრაციაში წასული თავადაზნაურთა ქონება სახაზინო საკუთრებად გამოცხადდაა მის შემდეგ შეიქმნა“გურიის სამთავროს დროებითი მმართველობა“.სათავეში რუსი ოფიცერი ედგა,რომელსაც ეჭვემდებარებოდა ორი წევრი გურიის თავადებიდან.. დროებითი მმართველობა ადგილობრივი კანონის მიხედვით განიხილავდა სამოქალაქო საქმეებს სისხლის სამართლის საქმეები იმერეთის თვითმართველობას ეგზავნებოდა ქუთაისში.“ადგილობრივი მმართველობის ,, პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ პოლკოვნიკი კულიაბკო(თავმჯდომარე) და გურიის სამთავროს მდივან ბეგები: გიორგი ერისთავი, გიორგი ნაკაშიძე, სვიმონ გუგუნავა ,ვახტანგ ერისთავი. გურიაში შენარჩუნებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძველი სისტემა,მ ოურავებისა და ძველი ნაცვალების ძველი თანამდებობები. ასე იმართებოდა გურია 1840 წლამდე იმ განსხვავებით, რომ 1830 წლიდან გურიის სამთავრო გაუქმებულად გამოცხადდა და ამ მხარეს ,,გურიის ოლქი ,,-ეწოდა. 1840 წელს გურიის ოლქი გურიის მაზრად გარდაიქმნა, ქალაქის ოფიციალური სტატუსი ოზურგეთს 1846 წელს მიენიჭა. ოზურგეთის მაზრა ცენტრით ქოზურგეთი შევიდა ქუთაისის გუბერნიაშიაა ასეთი დაყოფით რჩებოდა ოზურგეთის მაზრა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

1846წლის დეკემბრის უმაღლესი ბრძანებულებაში ჩაწერილია:, ,,უთაისის გუბერნიის საგუბერნიო ქალაქად დაწესდეს: ქუთაისი ,სამაზრო სამართველოების ადგილსამყოფელად მიჩნეულ იქნას ქუთაისი ,ოზურგეთის დაბა-ოზურგეთში,რომელიც აყვანილ იქნას სამაზრო ქალაქის ხარისხში,“ამდენად ამ ბრძანებით,ოზურგეთის მაზრის ცენტრი- დაბა ოზურგეთში.1 846 წლის 14 დეკემბრიდან მიენიჭა ქალაქის სახელწოდება- სამაზრო ქალაქის უფლებითა რსებული ცნობით მაშინ ოზურგეთი ძალზე პატარა ღარიბი დასახლება იყო.

მანანა ლომაძე

ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

დიდხანს ვტკბებოდეთ თქვენი ხმით

ლოტბარ ტრისტან სიხარულიძეს

ღირსეულო მომამგევ,
ამ ლექსს გიძღვნით ნამდვილ ქურუმს,
ეს ცხოვრება ისე გაგაქვთ
ვით შეშვენის ქართველს, გურულს.

მიყვები მამის ნაკვალევს,
რუდუნებით და ლამაზად,
„ის ურჩევნია მამულსა,
შვილი რომ სჯობდეს მამასა.“

ძე ხარ ცნობილი მომღერლის,
ბატონი ილარიონის,
იგი იცოცხლებს სანამდის
იდენს მტკარი და რიონი.

დროის მანქანა ტრიალებს,
წლები თანდათან მატულობს,
მღერით, გალობით ხმიანებ
კვლავ დიდხანს გეკრიმანჭულოთ.

ხალხურ სიმღერასთან ერთად
გიყვართ ლექსი, პოეზია,
საკუთარი ლექსებიც გაქვთ
მოკრძალებულს, თავაზიანს.

ასი წლისა რომ იქნებით
თქვენ მიაღწევთ მაშინ მიზანს
და ჩვეული შემართებით
გაგვახარებ, ჩვენო ტრისტან.

მეც მოგაწვდი მაშინ ჩემს ხმას,
დიდ ხელოვანს და დიდ ლოტბარს,
კვლავ დავლოცავ თქვენს განვლილ გზას,
თქვენს დიდ ოჯახს და თქვენს მოდგმას.

სულ ვიგონებთ ვარლამს, არტემს
და ვახსენებთ ბატონ ანზორს,
გავლენ წლები, თქვენს სახელსაც
მოარგებენ მათებრ საზომს.

ნოდარ დონაძე

განცხადება

სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შეღებილი ხის „კუხნა“ სახლით. პერსპექტიულია სამოსახლოდ და მეურნეობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარეა, 150 ძირი – 2 წლის.

დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იკითხეთ თამაზი)

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭედითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე – სერტიფიცირებული აგრობიზნესის სპეციალისტი. პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან ბიზნესის საკითხებს და იმუშავებენ სხვადასხვა პროექტებზე.

პროგრამა ჩატარდება ანასეულში, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულებს:

- აგრობიზნესის ადმინისტრირება
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგია
- მოსავლის და მაღალი კულტურების გაშენება და მოვლა
- კომპიუტერული უნარები
- საწარმოო პრაქტიკა

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ამ ბმულზე http://agruni.edu.ge/ge/node/1648

იუბილარი

ჩვენო იამზე!

თბილი გულითა და ღრმესი პატივისცემით გილოცავთ, თქვენ, სიდარბაისლითა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებას 70 წლის იუბილეს.

გარკვეული წლების მანძილზე შინაარსიანი, მაღალპროფესიული ღვწით და აღსრულებული მოვალეობით ზიდეთ მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი პედაგოგისა, სინდისიერად ემსახურეთ მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. დღესაც განაგრძობთ ნაყოფიერ მუშაობას იმ ორგანიზაციასთან, რომელიც გამუდმებით იცავს პედაგოგთა უფლებებსა და ინტერესებს.

გისურვებთ დღეგრძელობას, სულის სიმხნევეს, იმ დიდ ცხოვრებით გამოცდილებას, რაც თქვენი არაჩვეულებრივი მეუღლის დაკარგვით განიცადეთ.

გფარავდეთ ღმერთი!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

საუკეთესო სურვილებით შეიდათეულწლოვან იუბილეს ვულოცავთ ყველა ადამიანური ღირსებით შემკულ პიროვნებას, ჩვენს დიდ მეგობარს, ქალბატონ იამზე კიღურაძეს.

ალიონელები

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში 300-კაციანი საბანკეტო დარბაზი.

დაგვიკავშირდით:

მობ. (514) 03 80 03.

„ჩიორაში“ მაინც სულ სხვაა!

საკანცელარიო საქონლის მაღაზია „ჩიორა“ გთავაზობთ საკანცელარიო და სასკოლო ნივთებს, ალბომებს, საოფისე აქსესუარებს, კედლისა და მაგიდის საათებს, მხატვრულ ლიტერატურას.

მომხმარებლებს მოემსახურება ქსეროქსი. აქვე შესაძლებელია ლამინირებაც.

მაღაზია გურიის ქუჩა №12-ში (ერისთავის ქუჩის მხარე) მდებარეობს.

ოზურგეთში საკანცელარიო საქონლით სხვებიც ვაჭრობს, მაგრამ „ჩიორაში“ სულ სხვაა... ©

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანს-

7 დღის ამინდის პროგნოზი

28 აგვისტო ორშაბათი	29 აგვისტო სამშაბათი	30 აგვისტო ოთხშაბათი	31 აგვისტო ხუთშაბათი	1 სექტემბერი პარასკევი	2 სექტემბერი შაბათი	3 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი	ჭექა ქუხილი	ჭექა-ქუხილი	წვიმა	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი
+18+27	+18+24	+17+25	+15+22	+14+21	+14+21	+15+21